



**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი**



MES 2 20 0001019392



21/10/2020

**შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი
მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ**

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27² მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის 3¹ პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3¹ პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.[1]

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27⁶-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.[2]

1.5. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, ცენტრის წინაშე იშუამდგომლოს აკრედიტაციის პირობების გეგმიური ან/და არაგეგმიური მონიტორინგის გზით. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ცენტრი აკონტროლებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის პირობების შესრულებას. აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“. ამასთან, აკრედიტაციის პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, აკრედიტაციის საბჭო აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, უფლებამოსილია შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად, ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით, განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. ამგვარი ვადის განსაზღვრის შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი ხარვეზები არ/ვერ გამოსწორდა, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აკრედიტაციის გაუქმების შესახებ, აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად.[3]

1.6. აკრედიტაციის დებულების 27⁵ მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 30 დეკემბერს შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №01-2540 (ცენტრში რეგისტრაციის ნაწილი 1 ბრძანების №1781020; ნაწილი 2 ბრძანების №1781025, ნაწილი 3 ბრძანების №1781029, ნაწილი 4 ბრძანების №1781032) სააკრედიტაციო განაცხადი „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 21 თებერვლის №228926 ბრძანების საფუძველზე შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 28 აპრილის №351429 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელშიც 2020 წლის 3 ივლისის ბრძანებით №560813 შევიდა ცვლილება, 2020 წლის 24 ივლისს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში, ხოლო 2020 წლის 27 სექტემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		✓		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2020 წლის 06 ოქტომბერს სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3¹ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3¹ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 17 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვეტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს - დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2019 წლის 30 დეკემბრის №01-2540 (ცენტრში

რეგისტრაციის ნაწილი 1 ბრძანების №1781020; ნაწილი 2 ბრძანების №1781025, ნაწილი 3 ბრძანების №1781029, ნაწილი 4 ბრძანების №1781032) სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ბიოსამედიცინო და ჯანდაცვითი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას საბჭოს 2020 წლის 21 ოქტომბრის №1018439 სხდომის ოქმის №2 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. საბჭომ გაიზიარა/დაამატა შემდეგი რეკომენდაციები:

- 2.1. დაზუსტდეს დიპლომირებული სტომატოლოგის და ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხის მქონე პირთა პროგრამაზე დაშვების შესაძლებლობა.
- 2.2. დაზუსტდეს ჩანაწერი პროგრამის კვლევითი კომპონენტის შესახებ სადოქტორო პროგრამასა და დოქტორანტურის დებულებაში, რაც ასახავს პროგრამის ფარგლებში არსებულ რეალურ გარემოებებს და თავსებადია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მუხლი 46, მე-2 პუნქტის გ - ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოცემულობასთან;

5. ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი.

6. (1) საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს.

6. (2) საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 4 სექტემბერს.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“


საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის საბჭო

საბჭოს თავმჯდომარე

ბურდული ირაკლი




საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის საბჭო

საბჭოს მდივანი

თიკანაშვილი ნიკა



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოსამედიცინო და ჯანდაცვით მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 25 ნოემბრის №342 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორიანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მედიცინის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	კვალიფიკაციის კოდი	0901
12	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
13	სწავლების ენა	ქართული, ინგლისური კომპონენტებით
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30
15	განხორციელების ადგილი	ლუბლიანას ქ. #13/ მიხეილ ჭიაურელის ქუჩა#6, ქ. თბილისი, 0159, საქართველო
15	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	

17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლ ად განსაზღვრული ვადა	
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	